საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990161210409621

№02/13 **06 / მარტი / 2021 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული N02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს N1 დანართის თანახმად.
2. დაევალოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		ქალაქ სამტრედიის №10 საჯარო სკოლა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქ.N16	არქიტექტურის / ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	1 1893 წელი
2.		კაკაბაძის სახლი	ქ. ქუთაისი, ერისთავის ქუჩა, I შეს. N2-ის მიმდებარედ (ს.კ 03.04.29.462)	მემორიალური	XIX საუკუნე
3.		მაკალათიების ოდა-სახლი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფელი სეფიეთი	არქიტექტურის	1850 წელი
4.		ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, დაბა მანგლისი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
5.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (უკარებო)	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ართანა	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები

6.		ბერჩლიანების საგვარეულო მაჩუბი	მესტიის მუნიციპალიტეტი, ბეჩოს თემი, სოფელი ტვიბიში (ს.კ. 42.09.36.067)	ეთნოგრაფიული	XVIII საუკუნე